

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „აიდისი ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება


სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2. საქმიანობის შედეგები, შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება.	4
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	5
4. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
5. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.	7-8
6. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	9
7. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10-26

შპს „აილისი ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
აქტივები	შენიშვნა	31.12.2024
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	3	129 800
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	560 089
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4	202 911
მარაგები	2	175 853
მზა პროდუქცია		0
სხვა		175 853
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	138 875
სხვა არამატერიალური აქტივები		5 933
ძირითადი საშუალებები	1	2 111 190
სხვა გრძელვადიანი აქტივები		3 848 973
სულ აქტივები		7 173 624
სავაჭრო ვალდებულებები		105 513
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		8 206
საგადასახადო ვალდებულებები		0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		3 785 193
სხვა ვალდებულებები		0
სულ ვალდებულებები		3 898 912
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალი“)		100 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3 148 622
გადაფასების რეზერვი		26 090
სულ საკუთარი კაპიტალი		3 274 712
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7 173 624
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 207 528
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5	113 719

დირექტორი:




/ვახტანგ რაზმაძე/

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აიდისი ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31.12.2024
ნეტო ამონაგები	6	16 752 179
საქონლის გაყიდვიდან		0
მომსახურების გაწევიდან		16 752 179
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
სხვა		0
გაყიდვების თვითღირებულება	7	-10 333 568
საერთო მოგება		6 418 611
სხვა საოპერაციო შემოსავალი		8 569
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1 386 558
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-107 721
საპროცენტო შემოსავალი		0
საპროცენტო ხარჯი		-128 777
იჯარის ხარჯი		-110 318
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	8	-329 887
სულ საოპერაციო ხარჯები		-1 937 025
საოპერაციო მოგება		4 363 919
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი)უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		223 198
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-4 799
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		4 708 553
მოგების გადასახადის ხარჯი		0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		4 582 317
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		4 582 317
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		5 429 588
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-6 736 842
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-352
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3 274 712

დირექტორი:



/ვახტანგ რაზმაძე/

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აიდისი ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2024
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	6 732 622
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(4 092 688)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(3 284 676)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(644 741)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	223 198
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	551 344
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	129 800

დირექტორი:



/ვახტანგ რაზმაძე/

შპს „აიდისი ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებ ო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სარეზერვო კაპიტალი	მთლიანი კაპიტალი
2024 წლის 31 დეკემბერი	100 000	5 303 149	26 440	5 429 589
2024 წლის მოგება გადახდილი დივიდენდი		4 582 317 (6 736 844)	(350)	
2024 წლის 31 დეკემბერი	100 000	3 148 622	26 090	3 274 712

დირექტორი:



/ვახტანგ რაზმაძე/

შპს „აიდისი ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შპს „აიდისი ჯგუფი“ რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

მისამართი: საქართველო, ქალაქი ფოთი, პოლიკარპე ზერაგიას ქუჩა #35

საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი: 415117581

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საინჟინრო კვლევა-ძიება, პროექტირება და დიზაინი;
- სამშენებლო საქმიანობის წარმოება.
- აგრეთვე სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 31/12/2024წ. შეზღუდული საზოგადოების პარტნიორები და წილი:

დარეჯან შენგელია	01030023295	20%
ვახტანგ რაზმაძე	01010009063	20%
ზურაბ ხუციბერიძე	01030018905	20%
აკაკი ახვლედიანი	01024016523	20%
გიორგი გამყრელიძე	01024028306	20%

13/09/2024წ. შპს „აიდისი ჯგუფი“ გახდა შპს „აიდისის“ ერთპიროვნული პარტნიორი და 100%-იანი წილის მფლობელი.

შეზღუდული საზოგადოების დირექტორი: ვახტანგ რაზმაძე პ/ნ. 01010009063

**შპს „აიდისი ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

ინფორმაცია შპს „აიდისი ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანიის შესახებ

შპს „აიდისი“ რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ის სასამართლოს მიერ 2002 წლის 31 დეკემბერს. სარეგისტრაციო ნომერი: 5ა/4-3498

მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დილომი, როსტევის ქ. #5;

საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი: 204998342

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საინჟინრო კვლევა-ძიება, პროექტირება და დიზაინი;
- სამშენებლო საქმიანობის წარმოება.
- აგრეთვე სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

კომპანია 2024 წლის მონაცემების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს.. საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

13/09/2024წ .შპს „აიდისის“ერთპიროვნული პარტნიორი გახდა შპს „აიდისი ჯგუფი“. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 31/12/2024წ. შეზღუდული საზოგადოების ერთპიროვნული პარტნიორი და 100%-იანი წილის მფლობელი:

შპს „აიდისი ჯგუფი“ ს/ნ. 415117581	100%
-----------------------------------	------

შეზღუდული საზოგადოების დირექტორი:

ვახტანგ რაზმაძე	01010009063
-----------------	-------------

საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 000 ლარს .

**შპს „აიდისი ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი .

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „აიდისი ჯგუფი“-ს და მისი შვილობილი შპს „აიდისი“-ს ანგარიშგებას. საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარს და სრულდება 2024 წლის 31 დეკემბერს. ფინანსური ანგარიშგების ციფრულ ფორმებში მოცემული თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

აღსანიშნავია გარემოება, რომ შპს „აიდისი ჯგუფი“-ს 2024 წელს არ განუხორციელებია ეკონომიკური საქმიანობა. მისი საბალანსო ნაშთები შედგება შვილობილი კომპანიის დამფუძნებელი ფიზიკური პირებისაგან წილის შემენის სანაცვლოდ გადახდილი თანხა, რომელიც აღრიცხულია ინვესტიციად და სს „საქართველოს ბანკიდან“ აღებული გრძელვადიანი სესხისგან. აღნიშნული სესხით განხორციელდა ინვესტიცია.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის (შპს „აიდისი ჯგუფი“, შპს „აიდისი“), როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან მთლიანად არის ამორიცხული შიდა ჯგუფური ნაშთები და შიდა ჯგუფური ოპერაციები.

შეფასების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით.

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და მიმდინარე გეგმები.

**შპს „აიდისი ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

სააღრიცხვო პოლიტიკა

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელი.

ჯგუფი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად, ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის მიხედვით.

საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა-ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის -31 დეკემბერს არსებული კურსით.

ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა - „ინფო-ბუღალტერის“ გამოყენებით.

ჯგუფის ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

- შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი საბალანსო ღირებულებით;
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებული ნაშთის მეთოდით; ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფის დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა
- შენობა-ნაგებობები	50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები	10 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები	7-10 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	10 წელი
- ავეჯი	20 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები	10 წელი

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას, ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

შენიშვნა 1

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ:
01/01/2024 წ.	206470	805160	151092	99606	450965	53351	1766645
შემოსვლა	343683		297	26173	74850	2962	447965
გადაფასება			(81)	(9067)	-	(422)	(9570)
გასვლა							
პერიოდის ცვეთა	-	(16103)	(15116)	(10133)	(47007)	(5490)	(93849)
31 დეკემბერი 2024 წ.	550153	789057	136192	106579	478808	50401	2111190
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2024 წ.	550153	789057	136192	106579	478808	50401	2111190

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, განბაჟებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ, სხვა არადაბრუნებად გადასახადებს.
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აღირიცხება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება Fifo მეთოდით.
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საწვავის აღრიცხვა

- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათით. იგი აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ბარათი ანგარიშვალდებულ პირზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით.
- ავტოსატრანსპორტო საშუალების საწვავი ჩამოიწერება განვლილი კილომეტრაჟის მიხედვით.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

- მცირეფასიანი ინვენტარი, სამუშაო იარაღები. ინსტრუმენტები და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები, წერაქვი, ლომი, ბარი, ნიჩაბი, ურო, ბალგარკის ქვეები და სხვა) აღირიცხება მარაგებში და აისახება ბალანსის სხვა აქტივებში.
- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კარტრიჯი, დისკები, ეკრანის და კლავიატურის საწმენდი საშუალებები და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.
- მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად, არ აისახება მარაგებში და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება სხვა სამეურნეო ხარჯებს.
- სპეც. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. უსაფრთხოების აღჭურვილობები(ჩაფხუტები, სათვალეები, ქამრები და სხვ.) აისახება მარაგებში და პიროვნებებზე გადაცემისას აღიარდება ობიექტის ხარჯად.

მარაგები

შენიშვნა 2

დასახელება	2024 წ.
საქონელი	-
მზა პროდუქცია	-
სხვა მარაგი	175 853
სულ მარაგი:	175 853

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფი) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება,

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ.

დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოაკლდება მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ჯგუფის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები:

შენიშვნა 3

	2024 წ.
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	27 646
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	102 154
სულ:	129 800

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღრიცხვა

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით;

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო

უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შენიშვნა 4

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	2024 წ.
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	560 089
გადახდილი ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯი	202 911
სხვა მიმდინარე აქტივები	138 875
სულ მოთხოვნები და წინასწარ გადახდები:	901 875

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე.

ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

შენიშვნა 5

	2024 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	85 648
მიღებული ავანსები	19 865
გადასახდელი ხელფასები	8 206
სულ :	113 719

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ჯგუფის საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ჯგუფს, საქართველოს ბანკისგან, აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11,5%. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის თანხა, 31/12/2024 წლისთვის შეადგენს 3 785 193 ლარს.

(შენიშვნა 3)

სესხი #	აღებული თანხა, ლარი	გადახდილი თანხა, ლარი	31/12/2024წ.-ის მდგომარეობით:
#11093655	3 645 000	72 000	3 573 000
#11164673	216 000	3 807	212 193
სულ:	3 861 000	75 807	3 785 193

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ჯგუფს აქვს საკრედიტო ხაზი, საჭიროებისამებრ მოთხოვნის შესაბამისად თანხა ირიცხება ანგარიშზე გამოყენებული თანხის შესაბამისად. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსი შეადგენს:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი:			
	აშშ დოლარი	ევრო	დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2024 წ. 31 დეკემბერი:	2.8068	2.9306	3.5349

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

არაფულადი მუხლების გადანაგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის

განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

წმინდა მოგება /(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	2024 წ.
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	390 641
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(167443)
სულ:	223 198

ჯგუფის საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, სარეზერვო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.
- ჯგუფის კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით, შეადგენს 100000 (ასი ათას) ლარს.
- პარტნიორთა კრებაზე ფინანსური ანგარიშგების განხილვის დროს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება წმინდა მოგების განაწილება.
- 2024 წელს დივიდენდის სახით განაწილებული მოგება შეადგენს 6 736 844 ლარს.

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ჯგუფის ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და სხვა ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

ჯგუფის შემოსავლების/ვალდებულებების აღრიცხვა:

ჯგუფის შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

შენიშვნა 6

დასახელება	2024 წ.
მომსახურების გაწევა	16 752 179
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8 569
სულ ამონაგები:	16 760 748

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი, საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ჯგუფის ხარჯების აღრიცხვა

- ჯგუფში ხარჯები აღრიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის მეთოდი, კლასიფიკაცია ხორციელდება ფუნქციური დანიშნულებით.

მივლინების ხარჯების აღრიცხვა

- ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან წარმოებს კორპორატიული ბარათებით ან სალაროდან ნაღდი ანგარიშსწორებით;
- საავანსო ანგარიშების წარმოდგენის ვადა განისაზღვრება 2-3 თვეში ერთხელ, დამოკიდებულია სამუშაოების ხანგრძლივობაზე;
- სადღელამისო თანხა გადაირიცხება ინვოისის საფუძველზე იმ სასტუმროებში ან სასტუმროს არ არსებობის შემთხვევაში იმ ინდივიდუალურ ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე;
- ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხები იბეგრება გაცემის წყაროსთან.
- საერთაშორისო მივლინება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

წარმომადგენლობითი ხარჯები

- წარმომადგენლობით ხარჯებს მიეკუთვნება ის საქმიანი შეხვედრები, პრეზენტაციები, კორპორატიული საღამოები, სადაც ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა და ემსახურება საზოგადოების განვითარებასა და კეთილდღეობას.
- წარმომადგენლობითი ხარჯებს მიეკუთვნება ჩაი, ყავა, შაქარი და სხვა.

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ჯგუფის გაყიდვების თვითღირებულება

შენიშვნა 7

	2024 წ.
ძირითადი მასალის დანახარჯები	1 639 533
პირდაპირი ხელფასი/თვითღირებულებები	4 094 030
სოციალური დანარიცხები ხელფასიდან	47 959
დამხმარე მასალების დანახარჯები	6 628
უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საშუალებების დანახარჯი	91 015
მივლინების ხარჯები(საწარმოო მიზნით)	281 746
საბაჟოზე გადახდილი ხარჯი	3 750
საკომისიო გასამრჯელო და შრომის ანაზღ.მიწოდებაზე	136 965
ობიექტის სხვადასხვა ხარჯი	3 999
ობიექტის საკანცელარიო ხარჯი	1 003
ობიექტის დაზღვევის ხარჯი	4 680
საწვავ-საცხები მასალების ხარჯი	124 856
გადაზიდვის ხარჯი	68 410
ძირ.საშუალებების ექსპლოატაციის ხარჯი	51 251
მიწოდების ხარჯები (ქვეკონტრაქტორები)	3 777 743
სულ:	10 333 568

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ჯგუფის ადმინისტრაციული

ხარჯები

შენიშვნა

8

	2024 წ.
კომუნალური ხარჯი	16 705
საწვავის ხარჯი	113 880
რემონტი	6 633
საოფისე ხარჯი	24 527
ავტოტრანსპორტის და ქონების დაზღვევა	27 611
საბანკო ხარჯები	22 813
საკონსულტაციო ხარჯი	14 688
ქონების და მიწის გადასახადი	17 080
საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯი	5 784
წარმომადგენლობითი ხარჯი	1 331
საქველმოქმედო ხარჯი	6 940
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	71 896
სულ:	329 887

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია

2024 წ.

შრომის ანაზღაურება :

718 522

მოგების გადასახადი

- კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება “ესტონური მოდელი”-თ, სსკ-ის 97 მუხლის შესაბამისად. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და განაცემებს, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა, ფულადი სახსრების გადაცემა.

დივიდენდები

დივიდენდი განაწილდება დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით. საანგარიშგებო პერიოდში გაცემულია გამოცხადებული დივიდენდი 6 736 844 ლარის ოდენობით.

საგადასახადო ვალდებულებები საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს სახელმწიფო საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საგადასახადო დეკლარაციებში ასახული თანხით.

შპს „აიდისი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის ფუნქციონირებადობის შესაძლებლობას. ამ ანალიზში მენეჯმენტმა განიხილა ყველა რისკი, მათ შორის ლიკვიდურობის, სავალუტო რისკების და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ საანგარიშო თარიღისთვის ჯგუფის საქმიანობას საფრთხე არ ემუქრება და მათ არ აქვთ გეგმები ჯგუფის ლიკვიდაციისთვის ან მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვისთვის.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია 2025 წლის 16 აგვისტოს და ნებადართულია გამოსაცემად.

დირექტორი:



/ვახტანგ რაზმაძე/

